community

The New Apostolic Church around the world

01/2017/GE

2017 წლის დევიზი:

დიდება ღმერთს, ჩვენს მამას

ღვთისმსახურება ბრაზილიაში:
სიყვარული იესოს მიმართ

კატეხიზმო:
ლოცვა და მსხვერპლი

კატეხიზმო:
ქორწინება და ოჯახი

New Apostolic Church
International

დიდება ღმერთს, ჩვენს მამას

საერთაშორისო ახ.ს.ე.

ძვირფასო ერთმორწმუნე და-ძმანო,

„დიდება ღმერთს, ჩვენს მამას“ - ასეა ნათქვამი პავლე მოციქულის ეპისტოლეში ფილიპელთა მიმართ. ის აზრი, რომ ვადიდოთ ღმერთი, რომელმაც შექმნა ყოველივე, ესე იგი, საჯაროდ შევასხათ ხოტბა მის ძლევამოსილებას და ხმამაღლა ვიუწყოთ მის უსაზღვრო სიკეთეზე, ძველთაგან მოდის. მაგრამ ადამიანები ყოველთვის გვერდს უვლიან ამას. პირიქით, მათ ცხოვრებაში არსებული ყველა გაჭირვების გამო ღმერთს სთხოვენ პასუხს!

ჩემი მოწოდება დღეს ასეთია:
ვადიდოთ ღმერთი, მამა ჩვენი!

ეს არა მხოლოდ 2017 წლის ლოზუნგი უნდა იყოს, არამედ ჩვენი ცხოვრებისა და რწმენის შემდგომი გზის განმსაზღვრელიც. განვადიდოთ ღმერთი, მამა - როგორ შევძლოთ ეს? მაგალითისათვის, სამ ამოცანას დავასახელებ:

- შევიმეცნოთ ღმერთის სიდიადე! ის არის შემოქმედი და მისგან მოდის ყოველივე, როგორც ხილული შემოქმედება, ასევე ხსნის მთელი ისტორია. ჩვენი დავალებაა, მის შემოქმედებას ბრძნულად და კეთილად მოვექცეთ. ღმერთმა ბუნებრივი რესურსები მოგვცა, პასუხისმგებლობა მათ განაწილებასა და შენარჩუნებაზე კი ჩვენ, ადამიანებს, გვაკისრია;

- მადლობა გადავუხადოთ მას ყველა საბოძვარისათვის იმით, რომ შევასრულოთ მისი ნება, თუნდაც ამან ჩვენი ცხოვრება უფრო გაართულოს. მსხვერპლი შევწიროთ მას. სჯობია, მივნდოთ მას, ვიდრე ჩვენს პრობლემებზე ვიწუწუნოთ. ის ზრუნავს ჩვენზე, თუმცა ცოდვილები ვართ. საპასუხოდ, მოდით, ჩვენც ვცეთ პატივი თვითეული ადამიანის ღირსებას. ღმერთი ყველას მამაა! მამას მაშინ მივაგებთ პატივს, როცა ხსნას იმათთვის შევთხოვთ, ვინც გული გვატკინა;

- ღვთის დიდებას მაშინ ვიუწყებით, როცა ღვთის შვილებივით ვიქცევით. ღმერთის წინაშე ჩვენ შვილები ვართ: ჩვენ ცოტა რამ თუ ვიცით, მან კი ყველაფერი იცის. მოდით, ვაღიაროთ მისი ავტორიტეტი და ნებაყოფლობით ჩავდგეთ მის სამსახურში. ეს ჩვენთვის ჩვენი თავისუფლების შეზღუდვა კი არ იქნება, არამედ კურთხევის წყარო!

მოდით, ვადიდოთ ღმერთი, მამა ჩვენი: ის ყველაზე და ყველაფერზე დიდია; ვერაფერი შეუშლის მას ხელს იმაში, რომ თავისი სასუფეველი მოგვცეს. მის მიერ ჩვენში ჩანერგილმა სიცოცხლემ განვითარება უნდა ჰპოვოს. ასე მის შვილებს შორის ერთობას შევუწყობთ ხელს იმის შეგნებით, რომ ყველასათვის მხოლოდ ერთი ღმერთი და ერთი მამა არსებობს, „რომელიც არის ყოველთა ზედა, ყველას მიერ და ყველა ჩვენგანში“.

2017 წლის სამპუნქტიანი პროგრამა ასე ჟღერს:
- შევიცნოთ ღმერთის, მამის, დიდება მის საქმეებში;
- მადლობა გადავუხადოთ მას სიკეთისათვის;
- მისი დიდება ღვთის შვილების შესაფერისი საქციელით ვიუწყოთ.

ამ აზრით გისურვებთ ყველას დიდ სიხარულსა და ღვთის კურთხევას ახალ წელს!

2016 წლის 28 სექტემბერს პირველმოციქულმა ღვთისმსახურება გრამადოში/ბრაზილია ჩაატარა. ეს ქალაქი რიო გრანდე დო სულში მდებარეობს, 27-ე ფედერალური შტატის სამხრეთით.

ფოტო: ბრაზილიის ახ.ს.ე.

სიყვარული იესოს მიმართ

ლუკ. 7, 47. 48

„ამის გამო გეუბნები: მაგას მიეტევა მრავალი ცოდვა, რადგან ძლიერ შემიყვარა. ხოლო ვისაც ცოტა მიეტევა, ცოტათი უყვარს.“ და უთხრა მას: „მოგეტევა შენი ცოდვანი.“

გულით საყვარელო და-ძმანო, ამ ღვთისმსახურების თქვენთან ერთად განცდა სასიხარულოა ჩემთვის. დავფიქრდი, თუ რისი თქმა უნდა საყვარელ ღმერთს დღეს ჩვენთვის და პირველი აზრი, რომელიც თავში მომივიდა, იყო ის, რომ მხნეობა არ უნდა დავკარგოთ. კარგად ვიცი, რომ ამ ქვეყანაში ახალსამოციქულო ქრისტიანად ყოფნა ადვილი არ არის, ვინაიდან და-ძმათა რიცხვი მცირეა და თემებიც საკმაოდ შორს არის ერთმანეთისგან. შეიძლება ხანდახან ასეთი აზრიც მოგდით: „ბევრი რელიგიური გაერთიანებაა ამ ქვეყანაში, რომლებიც დიდი წარმატებით სარგებლობენ, ჩვენ კი ღვთის საქმეში ასეთი მცირე წარმატება გვაქვს. მათ საკუთრი ტელეცენტრი და ფული აქვთ, ჩვენ კი ასეთი პატარა თემი ვართ. როგორ მოვიქცეთ?“

პასუხი საკმაოდ მარტივია: გაიხსენეთ ის ისტორია, როცა პეტრე მთელი ღამე თევზაობდა და ვერაფერი დაიჭირა. მოვიდა იესო და უთხრა: „შეცურდი ღრმად და მოისროლეთ ბადეები თევზის დასაჭერად!“ პეტრე მეთევზე იყო. მან ზუსტად იცოდა, რომ ეს არაფერს მოიტანდა, მაგრამ იესოს უთხრა: შენი სიტყვით ვისვრი ბადესო (ლუკ. 5, 4. 5). მან, მართლაც, შეცურა შორს და საოცრად ბევრი თევზი დაიჭირა. თავად უფალმა ეს ამბავი სახარების გავრცელების მაგალითად გამოიყენა. საყვარელო და-ძმანო, მოდით, მოციქულთა მოძღვრების გავრცელებაზე ვიზრუნოთ. საქმე იმაში არ არის, თუ რა საშუალებები გვაქვს ან რა მეთოდებს ვიყენებთ. ჩვენს შემთხვევაში საქმე იმაში არ არის, რომ ბევრი წევრი მოვიზიდოთ ახალსამოციქულო ეკლესიაში, ეს არ არის ჩვენი მიზანი. არც ის გვინდა, რომ ბევრი ადამიანი შევწიროთ მსხვერპლად.

საქმე იმ მოწაფეთა პოვნაშია, რომლებიც ჭეშმარიტად გაჰყვებიან იესოს. საქმე იმაშია, ვიპოვოთ ის სულები, რომლებიც უფლის სასძლოს რიგებში ჩადგებიან. ამაზეა ლაპარაკი და არა რაღაც მეთოდებზე. მხოლოდ ერთია მთავარი, მოვიქცეთ პეტრესავით: უბრალოდ ქრისტეს ნება შევასრულოთ. და-ძმანო, ჩვენი განზრახვა მომავალშიც ასეთი უნდა იყოს: ძალ-ღონე არ დავიშუროთ სახარების ცხოვრებაში განსახორციელებლად და ისე ვიცხოვროთ ყოველ დღე, როგორც ამას უფალი ჩვენგან მოელის. ჩვენი მაგალითი იმ ადამიანებს მოიზიდავს, რომელთა მოყვნაც ჯერ კიდევ სურს ღმერთს. მოდით, შემდგომშიც გავაგრძელოთ სახარების ცხოვრებაში განხორციელებაზე, უფლის მიმდევრობასა და ჩვენი საქციელით სხვა ადამიანების მოზიდვაზე მუშაობა. კიდევ ერთხელ: საქმე ახალსამოციქულო ეკლესიისათვის წევრთა მოძიებაში არ არის. საქმე ჭეშმარიტ მოწაფეთა პოვნაშია, რომლებიც იესოს ნამდვილად გაჰყვებიან და უფლის დღისათვის მომზადება ენდომებათ.

წაკითხული სიტყვა ცოტა უჩვეულოდ ჟღერს. მოკლედ რომ აღვწეროთ: ის მოცემულია იმ კონტექსტში, როცა იესო ფარისეველ სიმონს სტუმრობდა. ჭამის დროს ერთი ქალი შემოვიდა. მას ყველა იცნობდა როგორც ცოდვილს. ქალმა ტირილი დაიწყო, „ცრემლებით უსველებდა [იესოს] ფეხებს და თავისი თმებით უხოცავდა, ფეხებს უკოცნიდა და ნელსაცხებელს სცხებდა“. იქ დამსწრე საზოგადოება აღაშფოთა ამან. რატომ აძლევდა იგი ამ ცოდვილ ქალს ასე მოქცევის საშუალებას, ის ხომ ხელს უშლიდა მას! იესომ იცოდა, რასაც ფიქრობდნენ ისინი, და ჰკითხა სიმონს: „ერთ მევახშეს ორი მევალე ჰყავდა: ერთს ხუთასი დინარი ემართა, მეორეს - ორმოცდაათი. მაგრამ რაკი არაფერი ჰქონდათ, რომ გადაეხადათ, ორივეს მიუტევა. ახლა მითხარი, რომელს უფრო მეტად შეუყვარდება იგი?“ (ლუკ. 7, 41. 42). ნათელი იყო: ვინც ორმოცდაათი მიიღო, მას უფრო მეტად შეუყვარდა იგი. ამას იესოს პასუხი მოჰყვა: „მაგას მიეტევა მრავალი თავისი ცოდვა, რადგან ძლიერ შემიყვარა.“ იესოს ამით იმის თქმა უნდოდა, რომ უნდა გვიყვარდეს ღმერთი, რამეთუ ის ცოდვებს მოგვიტევებს. ეს ყველა ჩვენთაგანს ეხება.

ყოველთვის უნდა ვაცნობიერებდეთ, რომ იესო მოგვიტევებს ცოდვებს. ჩვენ მის წყალობას, მის სიყვარულს იმით ვპასუხობთ, რომ ჩვენც გვიყვარს იგი.

იესომ ღმერთთან თანაზიარებაში შესვლის უნარი მოგვცა.

მერედა რას ნიშნავს ის, რომ ღმერთი ცოდვებს მოგვიტევებს? ჯერ ერთი, ეს ნიშნავს იმას, რომ იესო ქრისტე, ძე ღვთისა, ეწამა და ჩვენთვის მოკვდა. არ მინდა ამასთან დაკავშირებით ბევრი ვილაპარაკო, მაგრამ კარგი იქნება, თუ დავფიქრდებით იმაზე, რაც იესომ ჩვენდამი სიყვარულის გამო იტვირთა. საყვარელო ძმაო, საყვარელო დაო, იესოს მიერ შენდამი სიყვარულის უდიდესი მტკიცებულებაა ის, რომ იგი შენთვის მოკვდა! და ამის მერე, როცა ღმერთს ვეკითხებით: ნუთუ კიდევ გიყვარვარო?, ადამიანური პოზიციიდან გამომდინარე, უბრალოდ უსირცხვილობაა. ქრისტე ჩვენთვის მოკვდა! იმაზე მეტი რაღა უნდა გააკეთოს ღმერთმა, ვიდრე ის, რომ თავისი ძე მსხვერპლად გაიღო? იესო ქრისტე ჩვენთვის მოკვდა, რამეთუ ვუყვარვართ, და იმისათვის, რომ ცოდვები მოგვიტევოს.

პირველი ცოდვა, რომელიც მან მოგვიტევა, მემკვიდრეობითი ცოდვაა. პირველი წყალობა, რომელიც წილად გვერგო, ნათლობის წყალობაა. მან ჩამოგვრეცხა მემკვიდრეობითი ცოდვა და ამით ღმერთთან თანაზიარებაში შესვლის უნარი მოგვცა. ეს ალბათ ძალიან თეორიულად ჟღერს, მაგრამ დაფიქრდი ამაზე. ნათლობის მეშვეობით, ჩვენთვის, საწყალი ადამიანებისათვის, ღმერთთან თანაზიარების ქონა გახდა შესაძლებელი.

და კიდევ, ის ინდივიადუალურ ცოდვებსაც მოგვიტევებს. ყოველთვის, როცა არ ვიქცევით ღვთის ნებისამებრ, ყოველთვის, როცა არ ვცხოვრობთ სახარებისამებრ, ვცოდავთ, ყოველი

ცოდვა კი თანაზიარების გზას გვიკეტავს.

სიყვარულიდან გამომდინარე უფლის ერთგულები ვჩებით, თუნდაც არ გვესმოდეს მისი.

წარმოიდგინე, რომ ღმერთთან თანაზიარებაში შესვლის შესაძლებლობა გაქვს, მაგრამ იმის გამო, რომ შესცოდე, გზა ჩაიკეტა. კარგი, გასაგებია, რომ ყოველ დღე ადამიანს არ ვკლავთ, მაგრამ ბევრი პატარა ცოდვაც არსებობს, რომლებიც ღმერთთან თანაზიარების გზას გვიკეტავს. თუ ათი მცნებისამებრ არ ვიქცევით, ვცოდავთ. კარგი იქნება, თუ კიდევ ერთხელ გადავიკითხავთ ათ მცნებას და საკუთარ თავს შევეკითხებით: „დავიცავი ეს ყველაფერი?“ ყოველთვის, როცა მოყვასის სიყვარულის მცნებას ვარღვევთ, ვცოდავთ. ზოგჯერ ისეთი დიდსულოვნები ვართ ხოლმე ჩვენი თავის მიმართ?! მაგ., რაღაცას შევპირდით ღმერთს, მაგრამ არ დავიცავით დანაპირები. და მაშინ, თავის გამართლების მიზნით, მიზეზების მოგონებას ვიწყებთ.

ყოველთვის, როცა სიკეთის გაკეთება შეგვეძლო ანდა უნდა გაგვეკეთებინა და არ გავაკეთეთ, შევცოდეთ. თუ დავფიქრდებით ამაზე, მივხვდებით, რომ ხშირად ვცოდავთ. მაგრამ იესო ქრისტეს წყალობა ყველა ცოდვას გვაშორებს. მე ხშირად ვფიქრობ ამაზე. ღმერთი ყოვლისმცოდნეა, მან ყველაფერი იცის. ის ვერაფერს დაივიწყებს, რადგან წარსული და აწმყო მისთვის ერთია.

ვამჩნევ, რომ ასაკში შესვლასთან ერთად გულმავიწყი ვხდები, მაგრამ ღმერთი არაფერს ივიწყებს. როცა მოგვიტევებს ის, ყველაფერს გვაშორებს: ცოდვა აღარ არსებობს და ისეა, თითქოს არც ჩაგვედინოს.

საკმაოდ რთულია ჩვენთვის „სამოცდაათგზის შვიდჯერ“ მიტევება, როგორც ეს იესომ გვითხრა (მათ. 18, 22). სხვა ადგილას კი ამბობს: შენს ძმას დღეში შვიდჯერ უნდა მიუტევოო (ლუკ. 17, 4). განა შეიძლება ამგვარი რამის მოთხოვნა? ეს ხომ ძნელად შესასრულებელი მოთხოვნაა! - დაფიქრებულხარ იმაზე, თუ რამდენჯერ მოუტევებიათ შენთვის ერთი და იგივე ცოდვა?

ცოდვებს უფალი მოგვიტევებს. ის ჩვენთვის მოკვდა. ჩამოგვერეცხა მემკვიდრეობითი ცოდვა, რამეთუ მასთან თანაზიარების შესაძლებლობა გვქონდეს და ცოდვები მოგვეტევოს, რომლებიც

ღვთისმსახურებაში 400-მა ერთმორწმუნე და-ძმამ მიიღო მონაწილეობა; ზოგიერთებმა ამისათვის 1000 კმ. გამოიარეს.

მასთან თანაზიარების გზას გვიკეტავენ. ჩვენ გვიყვარს უფალი, რადგან მან ეს გააკეთა. როგორ გამოვხატავთ ჩვენს სიყვარულს? ჩვენ მისი ერთგულნი ვრჩებით, ვინაიდან მისი სიყვარული მისი წყალობით გამოვცადეთ. ჩვენ მისი ერთგულნი ვრჩებით, რადგან გვიყვარს იგი, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ არ იწყნარებს ჩვენს ლოცვებს, არ გვისრულებს სურვილებს, მიუხედავად იმისა, რომ ხანდახან საერთოდ არ გვესმის მისი და ვერ ვხედავთ მის კურთხევას. მაგრამ მაინც მასთან ვრჩებით. მისი ერთგულები ვართ, რამეთუ მისი სიყვარული გამოვცადეთ.

კიდევ როგორ გამოვხატავთ ჩვენს სიყვარულს? იმით, რომ ვემსახურებით მას, ვაკეთებთ იმას, რასაც იგი ჩვენგან მოითხოვს.

მოდით, სიკეთე ვაკეთოთ. ჩავდგეთ უფლის სამსახურში - ყოფით ცხოვრებაშიც. გვიყვარს რა იგი, დავეხმაროთ კიდეც მას. ვიცით, ჩვენი შრომა იმ დახმარებაში მდგომარეობს, რომ ყველა ადამიანმა ჰპოვოს მასთან მისასვლელი. გვინდა, დავეხმაროთ მას, რადგან ასეთი კეთლია იგი ჩვენს მიმართ. გვიყვარს რა იგი, მადლიერები ვართ მისი და იმას ვაკეთებთ, რაც მას მოსწონს. და რა მოსწონს მას? მოსწონს, როცა მოყვასს მივუტევებთ. ამას მისადმი სიყვარულით ვაკეთებთ. იმდენჯერ მოუტევებია მას ჩვენთვის?! მან გადაგვარჩინა. ახლა კი მოდის და მეუბნება: „ერთი თხოვნა მაქვს შენთან: შეგიძლია შენს მოყვასს მიუტევო?“ ხომ ვერ ვუპასუხებ: არა, ამას არ გავაკეთებ, ბევს მოითხოვ ჩემგან-მეთქი! ამ დროს იმაზეც უნდა დავფიქრდე, თუ რამდენი რამ გაუკეთებია იესოს ჩემთვის. თუნდაც მარტო მისი სიყვარულითაც გავაკეთებ იმას, რასაც იგი ჩემგან მოითხოვს და მივუტევებ მოყვასს.

ნება მომეცით, შევაჯამო ეს ყველაფერი: ყოველთვის კარგად უნდა გვესმოდეს, თუ რამდენი წყალობა მოგვანიჭა ღმერთმა. ღვთის ძე ჩვენთვის მოკვდა. მან მემკვიდრეობითი ცოდვებიდან გამოგვისყიდა, რათა ღმერთთან თანაზიარების შესაძლებლობა გვქონოდა. ის მუდამ მზად არის, თუ საჭიროა, ასჯერაც მოგვიტევოს პატარა და დიდი ცოდვები. ის ფარავს დანაშაულს და ეს დანაშაული უბრალოდ აღარ არსებობს. გვიყვარდეს იგი, რამეთუ ამდენს მოგვიტევებს. მისადმი სიყვარულის გამო ერთგულნი ვრჩებით მაშინაც, თუ ყოველთვის არ გვესმის მისი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ გვაძლევს იმას, რასაც შევთხოვთ; ჩვენ ვემსახურებით მას და მოყვასს მისადმი სიყვარულის საფუძველზე მივუტევებთ.

იესო აქ ამბობს: „მაგას მიეტევა მრავალი ცოდვა, რადგან ძლიერ შემიყვარა.“ ეს სიტყვები სხვაგვარადაც შეიძლება გავიგოთ: იმის გამო, რომ ქალმა შეიყვარა იგი, უფალმა ცოდვები მიუტევა. ეს ფრაზა მიზეზსა და შედეგს გამოხატავს. თუმცა იესომ ის მიზეზიც დაასახელა, თუ რატომ მიუტევა მას: „შენმა რწმენამ გიხსნა შენ. წადი მშვიდობით!“ ცოდვების მისატევებლად რწმენაა საჭირო. ეს

აუცილებელი წინაპირობაა. იესო ქრისტესი უნდა გვწამდეს. უნდა გვწამდეს, რომ ის ღვთის ძეა. უნდა გვწამდეს, რომ ის ჩვენთვის მოკვდა. უნდა გვწამდეს, რომ ის მკვდრეთით აღდგა. იესო ქრისტეს მიმართ რწმენის გარეშე ვერავინ გადარჩება. გარდა ამისა, ჩვენ იმისიც გვწამს, რომ მოციქულებიც მიუტევებენ ცოდვებს და ცოდვათა მიტევებას ღვთიური უფლებამოსილებით იუწყებიან. ცოდვათა მიტევების მისაღწევად ჭეშმარიტი რწმენაა საჭირო.

როგორ უნდა მივხვდეთ, რომ რწმენა ჭეშმარიტია, რომ ის ძლერია? პავლე მოციქულმა გასაგებად თქვა: რწმენა, რომელიც გადაგვარჩენს, სიყვარულით მოქმედებსო (გალ. 5, 5. 6). ეს არის ჭეშმარიტი რწმენა.

ნათლობის წყალობა რომ მივიღოთ, იესო ქრისტესი უნდა გვწამდეს. მხოლოდ ის მოინათლება, ვინც აღიარებს: „მე მწამს იესო ქრისტესი.“ რა ზემოქმედება აქვს რწმენას? ადამიანს უფლისადმი სიყვარულიდან გამომდინარე უჩნდება მისი მიმდევრობის სურვილი. მონათლული აღიარებს: „მინდა უარი ვუთხრა ბოროტს და იესო ქრისტეს გავყვე. ჩემს სიცოცხლეს უფალ იესოს ვაბარებ.“ სხვა შემთხვევაში ნათლობა უბრალოდ ტრადიციაა ყოველგვარი ზემოქმედების გარეშე. ნათლობის წყალობა რომ ამოქმედდეს, იესო ქრისტეს მიმართ მტკიცე რწმენა უნდა ჰქონდეს კაცს. ეს რწმენა სიყვარულით მოქმედებს. სურვილი გვიჩნდება, გავყვეთ იესო ქრისტეს და მისი სახარებისამებრ ვიცხოვროთ. ის ჩვენი მაგალითია. იმის გამო, რომ იესომ მემკვიდრეობითი ცოდვებისგან გამოგვისყიდა, გვიყვარს იგი და მივყვებით მას.

ცოდვათა მიტევების შემთხვევაშიც ზუსტად ასეა: მიტევება რომ შევიგრძნოთ, იესო ქრისტესი უნდა გვწამდეს. ჩვენ გვწამს იესო ქრისტესი. ჩვენ გვწამს მისი მოციქულებისა და ეს რწმენა სიყვარულით მოქმედებს. თუ იესო ქრისტე ნამდვილად გვიყვარს, საკუთრ თავს ყოველთვის ამ შეკითხვას დავუსვამთ: „კეთილმოწყალეა უფალი ჩემს მიმართ? თუ კიდევ არის რაღაც ჩემში, რაც მას არ მოსწონს?“ სიყვარული ასე გამოიხატება: სხვას რომ მოვეწონოთ, ისევ და ისევ უნდა შევამოწმოთ საკუთარი თავი: „კიდევ ხომ არ არის ჩემში ისეთი რამ, რაც უფალ იესოს არ მოსწონს?“

ცოდვათა მიტევების მისაღწევად ამგვარი თვითშემოწმება აუცილებელია. თუ მიყვარს უფალი იესო, მაშინ ვიტანჯები საკუთრი ცოდვების გამო. მაშინ არ ვიტყვი: „ყველაფერი არც ისე ცუდად არის, სხვებიც ხომ სცოდავენ!“ თუ მივხვდები, რომ რაიმე სისულელის, რაიმე წვრილმანის გამო იესოსთან მისასვლელი გზა მეკეტება, ვეღარ შევძლებ მასთან მისვლას, მაშინ არც ერთი ცოდვა პატარა აღარ გამოჩნდება. პატარა ტყუილის გამო, იმის გამო, რომ რაღაც გავაკეთე ან არ გავაკეთე, უფალ იესოსთან ახლოს ვეღარ მივალ! მაშინ ცოდვა ტკივილად

გვექცევა. ვიტანჯებით ჩვენი საქმეების გამო ანდა უმოქმედობის გამო, რადგან არ გავაკეთეთ ის, რაც უნდა გაგვეკეთებინა. საკუთარი ცოდვებით ვიტანჯებით იმიტომ, რომ უფალი გვიყვარს.

გვიყვარს რა უფალი, მტკიცედ გადავწყვიტეთ: ეს უნდა შეიცვალოს, მინდა უკეთესი გავხდე! ხომ მინდა, რომ უფალ იესოს მოვეწონო, ხომ მინდა, მივიდე მასთან?! ეს უნდა შეიცვალოს! უფლის სიყვარულიდან გამომდინარე მზად ვართ, მივუტევოთ მოყვასს, რამეთუ საკუთარ თავს ვეკითხებით: „რა არის ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი? ქრისტესთან თანაზიარება თუ ის, რომ უსათუოდ მე გამოვიდე მართალი? ის, რომ ყველამ დაინახოს, რომ მეორე არ ამბობს სიმართლეს და უნდა დაისაჯოს იგი?“ იესოს სიყვარულიდან გამომდინარე ვამბობთ: „აჰ, ყველაფერს მოვეშვები, მსურს, რომ ქრისტესთან თანაზიარება მქონდეს!“ უფლის სიყვარულიდან გამომდინარე მზად ვართ შერიგებისათვის, რადგან ვიცით, რომ მას ჩვენი ერთობა უნდა, სურს, რომ ერთობაში ვცხოვრობდეთ. მას არ უნდა განხეთქილება ადამიანებს შორის. ამიტომაც, მისადმი სიყვარულით მზად ვართ, რომ შევურიგდეთ მოყვასს.

იქ, სადაც თვითშემოწმებაა, სადაც გამოსწორების ნება არსებობს, სადაც კაცს საკუთარი ცოდვები სტანჯავს და ინანიებს მათ, სადაც მოყვასისათვის მიტევებისა და მასთან შერიგების მზადყოფნა არსებობს, ცოდვების მიტევებაც ხდება. აი, ასე მარტივია ეს, საყვარელო და-ძმანო. მოდით, ცოტა მეტად დავფიქრდეთ ამაზე და იმ წყალობაზე, რომელსაც უფალი იესო გვანიჭებს. იმის გამო, რომ მისი წყალობა ასე დიდია, შევიყვაროთ იგი. რაც არ უნდა მოხდეს, მისი ერთგულნი დავრჩეთ. ვემსახუროთ მას. ჩვენ მივუტევებთ ჩვენს მოყვასს, რამეთუ გვინდა, რომ მოვეწონოთ უფალს. მოდით, სიყვარულით მოქმედი მტკიცე რწმენა ვიქონიოთ. ისევ და ისევ შევამოწმოთ საკუთარი თავი. მოდით, უკეთესები გავხდეთ. მოდით, უფალ იესოს დავემსგავსოთ. ჩვენ გვტანჯავს ჩვენი ცოდვები და ვინანიებთ მათ; მოდით, მივუტევოთ და შევურიგდეთ მოყვასს. მოდით, გავყვეთ უფალს და საუკუნო თანაზიარება გვქონდეს მასთან და, სადაც სიყვარულით მოქმედი რწმენა არსებობს, იქ მიტევებასაც მივაღწევთ.

საყვარელო, და-ძმანო, ეს არ უნდა ყოფილიყო თეოლოგიური მოხსენება; მიიღეთ, როგორც სულიწმიდის მიერ შთაგონებული აზრები, რომლებზეც უნდა ვიმუშაოთ და გარწმუნებთ, რაც უფრო მეტად ვიმუშავებთ ამ აზრებზე, მით უფრო მეტად გვაკურთხებს ღმერთი.

ძირითადი აზრები

ჩვენ გვიყვარს იესო ქრისტე, რამეთუ ცოდვათა მიტევებას გვწყალობს იგი. მიტევება რომ მივიღოთ, იესო ქრისტესი უნდა გვწამდეს. ჭეშმარიტი რწმენა ქრისტესადმი სიყვარულში ვლინდება.

სიახლეები საქართველოდან

ფოტო: საქართველოს ახ. ს. ე.

ახმეტის თემი

მოციქულები საქართველოში

2016 წლის ნოემბრის დასაწყისში საქართველოს ახალსამოციქულო ეკლესიის და-ძმებისათვის კურთხეული დღეები გათენდა: ქვეყანას ორი მოციქული ესტუმრა - მოც. ვოლფგანგ შუგი და მოც. პაველ გამოვი, მათ თან ახლდა სამხ. მახარებელი გერმანიიდან იურგენ ფოლმანი.

მოციქულების ეს ვიზიტი ცალკეულ თემებთან სტუმრობას და მათთვის ღვთისმსახურებების ჩატარებას ისახავდა მიზნად, ასევე სემინარს მღვდელმსახურთათვის.

მოციქულები თანმხლებლებთან ერთად ცალ-ცალკე ეწვივნენ კახეთის თემებს: ახმეტის, ახმეტა-უტოს (1 ნოემბერს) და კონდოლის (3 ნოემბერს) თემებს, ჩაატარეს ღვთისმსახურებები და ერთმორწმუნე და-ძმებს გაესაუბრნენ.

ღვთისმსახურებები ჩაატარეს ასევე თბილისის ავლაბრის თემშიც.

5 ნოემბერს, შაბათს, ჩატარდა სემინარი მღვდელმსახურთათვის, რომელსაც ყველა მღვდელმსახური ესწრებოდა საქართველოს მასშტაბით. სემინარზე განხილული იქნა შემდეგი თემები:

- სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ,
- საიქიო,
- განსხვავება განსვენებულთა არსსა და სპირიტიზმს შორის,
- მკვდართა რეინკარნაციის შესახებ მოძღვრების უარყოფა,
- განმარტებები განსვენებულთა არსთან დაკავშირებით,
- გულითდი კავშირი განსვენებულებთან - ნუგეში გლოვის დროს,
- რა როლი აკისრია ამ შემთხვევაში სიზმრებსა და ნიშნებს?
- განსვენებულებთან შეხვედრა.

2017 წლის აგვისტოში სამხ. მოციქულ რაინერ შტორკის საქართველოში ვიზიტია დაგეგმილი. იგი 13 აგვისტოს ღვთისმსახურებას თბილისში, ავლაბრის თემში, ჩაატარებს, სადაც საქართველოს ყველა ახალსამოციქულო თემი იქნება მოწვეული. მოციქულმა ვ. შუგმა მოუწოდა და-ძმებს, წინასწარ იზრუნონ იმაზე, რომ ამ ღირსშესანიშნავი დღისათვის თავისუფლები იყვნენ.

ასევე საუბარი შედგა სხვადასხვა ორგანიზაციულ საკითხებზე, რაც სამხ. უხუცეს პეტრე უგრიმოვის დამსახურებულ პენსიაში გაშვებას და ამის შემდგომ პერიოდს უკავშირდება.

სტუმრებმა საქართველო 7 ნოემბერს დატოვეს.

ახმეტა-უტო

ფოტო: ჩრდ. რაინ-ვესტფალიის ახ.ს.ე.

არ ვმართოთ, ვიმსახუროთ სიყვარულით.

ალბანეთისა და მეზობელი კოსოვოს ყველა აქტიური და დამსახურებულ პენსიაში მყოფი მღვდელმსახური შეიკრიბა პირველმოციქულ ჟან-ლუკ შნაიდერის ღვთისმსახურებაზე. ტირანას ეკლესიაში პირველმოციქულმა ჟან-ლუკ შნაიდერმა შაბათს, 2016 წლის 9 ივლისს, იქადაგა.

გუშაგები და ისრაელის სახლი მღვდელმსახურებისა და ეკლესიის, დღევანდელი თემების სახეს წარმოადგენს. ამ ციტატაში „ნათქვამია: 'დაგაყენე.' მაშასადამე, ეს ღვთის მოწოდებაა. ღმერთმა გვიხმო მსახურებისთვის, არც ადამიანმა და არც რაიმე ორგანიზაციამ", აღნიშნა პირველმოციქულმა. ღმერთმა გვიხმო მსახურებისთვის; ესე იგი, მღვდელმსახური ღვთის მსახურია! გარდა ამისა, სასულიერო თანამდებობის მიღება სარგებელს არ გულისხმობს: „ჩვენ მღვდელმსახურები, ღვთის მსახურები, იმისათვის არ გავმხდარვართ, რომ უკეთესად ვიცხოვროთ", ახსნა ეკლესიის მეთაურმა. ეს არის ღვთისა და თემისთვის მსახურება.

ხსნა - არა ავტომატურად

სასულიერო თანამდებობის აღსრულება ღვთიური ხსნის დამსახურების შესაძლებლობას არ იძლევა. ეს ორი სრულიად განსხვავებული რამ არის: „შეიძლება კაცი ძალიან კარგი მსახური იყოს, ფანტასტიურ შრომას ეწეოდეს ღვთის საქმეში და მიუხედავად ამისა, უფლის დღეს ვერ მოხვდეს მასთან." სასულიერო თანამდებობა და მსახურება სულის ცხონებაში ვერ დაეხმარება კაცს. პირველმოციქულმა შნაიდერმა ეს უფრო დააკონკრეტა: „ვერ მივალ უფალ იესოსთან და ვერ ვეტყვი: 'უფალო, მე შენი პირველმოციქული ვიყავი,

ალბნეთზე მზრუნველობას ჩრდ. რაინ-ვესტფალიის სამხ. ეკლესია ახორციელებს ადმინისტრაციულად. იქ ექვსი თემია 200 მორწმუნით. ესენია: ტირანას, ელბაზანის, ფიერის, ლუშნიას, კუჩოვასა და ურა-ვაჟგურორეს თემები.





თან უნდა წამიყვანო!' შეიძლება მან ასე მიპასუხოს: 'არა, შენ მხოლოდ ინსტრუმენტი იყავი და ახლა ის აღარ მჭირდება.' თუ ჩემს სულში სასიკეთოდ არაფერი შეიცვლება, მაშინ უფლის დღეს მასთან ვერ ვიქნები."

გუშაგის მსახურება

გუშაგი უნდა ფხიზლობდეს, იგებდეს საფრთხეს და სხვებსაც აფრთხილებდეს. თუმცა გუშაგი მარტო ვერ შეებრძოლება მტერს და ვერც განსაცდელს აიცილებს თავიდან. რწმენაშიც ასეა: „როგორც ღვთის მსახურები, თემს განსაცდელს ვერ ავარიდებთ თავიდან. ჩვენ ბოროტის ამქვეყნიდან განდევნა არ შეგვიძლია." ამოცანა ასეთია: „დავინახოთ საფრთხე და გავაფრთხილოთ და-ძმანი. ჩვენ ვერც თემის ნაცვლად ვიბრძოლებთ. ყველა ღვთის შვილმა თვითონ უნდა იბრძოლოს საკუთარი ხსნისთვის; და-ძმათა მაგივრად ამას მღვდელი ვერ გააკეთებს."

არა მმართველობა, არა უფროსობა

მღვდელმსახური მორწმუნეთა უფროსი არ არის. „ჩვენი სასულიერო თანამდებობა იერარქიას არ ნიშნავს იმისათვის, რომ თემის მართვა შევძლოთ, რომ ბრძანებები გავცეთ და ყველა ვიმსახუროთ", თქვა ეკლესიის მეთაურმა. უფრო მაღალი პოზიცია მხოლოდ განწმედის, მსახურებისათვის გვეძლევა ღვთიური მოწოდების მეშვეობით.

ბრძნული შორსმჭვრეტელობა

გუშაგს კარგი თვალები უნდა ჰქონდეს: თუ ის ახლომხედველია, მისგან სარგებელი არ იქნება. პირველმოციქულისათვის სამი ფაქტორია მნიშვნელოვანი თემში მსახურებისთვის:

- ვიყუროთ საუკუნო სიცოცხლის პერსპექტივიდან: „საქმე მხოლოდ მიწიერ კეთილდღეობას არ ეხება. იფიქრეთ მიზანზე, იფიქრეთ უფლის მოსვლაზე, იფიქრეთ საუკუნო სიცოცხლეზე!"
- ვიყუროთ საზღვრებს მიღმა: „შეიძლება სიტუაცია სწორადაც ვერ შევაფასოთ, თუ დარწმუნებულები არ ვიქნებით, რომ საიქიოშიც გრძელდება სიცოცხლე" და „ჩვენ მარტო ჩვენს პატარა თემს კი არ უნდა ვხედავდეთ, არამედ მთელი ღვთის საქმე უნდა გვქონდეს მხედველობის არეში";
- მარტო საკუთარ თავს ნუ შევხედავთ: „ამის მაგალითი უფალი იესოა და არა მე!" დაე, მეორე ადამიანი თუნდაც სრულიად განსხვავებული იყოს, მთავარია, რომ იგი უფალ იესოს გაჰყვეს და თავისი ცხოვრება სახარებისამებრ წარმართოს."

ძირითადი აზრები

ეზეკ. 3, 17:

„ძეო კაცისავ! ისრაელის სახლის გუშაგად დაგაყენე და ჩემი პირიდან მოისმენ სიტყვას და გააფრთხილებ მათ ჩემგან."

მღვდელმსახურები ღვთისგან არიან მოწოდებულნი და განწმედილნი, რათა ემსახურონ მას. სულიწმიდის შთაგონებით ისინი თემს მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ აფრთხილებენ, ისინი მაგალითები არიან თემისათვის.

დავითი და იონათანი

(1. მეფ. 18-20)

მას შემდეგ, რაც დავითმა ორთაბრძოლაში ფილისტიმელი გოლიათი დაამარცხა, მეფე საულის, იონათანის მამის, სამეფო კარზე ცხოვრობდა. დავითი და იონათანი მეგობრები იყვნენ.

პრინციპში მომდევნო მეფე იონათანი უნდა გამხდარიყო, ის ხომ მეფისწული იყო. მაგრამ ღმერთმა მემკვიდრედ დავითი ამოირჩია. იონათანს ამის გამო შურის გრძნობა არ გასჩენია. დავითი მისი მეგობარი იყო და უყვარდა მას იგი. ამის დასამტკიცებლად იონათანმა დავითს თავისი მოსასხამი, „შესამოსელი, მახვილი, მშვილდი და სარტყელი“ აჩუქა. მაგრამ მეფე საულმა დაიწყო ეჭვიანობა დავითზე, ვინაიდან კარგი მებრძოლი იყო იგი და ხალხს ის უფრო უყვარდა, ვიდრე მეფე. საული სულ უფრო ბრაზდებოდა და ერთ დღესაც შუბი ესროლა დავითს. დავითმა ორჯერ აიცილა იგი. საულმა დავითის მოკვლა მაინც გადაწყვიტა. იონათანმა გააფრთხილა მეგობარი: „ხვალ დილამდე დაიმალე! მე მამაჩემს დაველაპარაკები და გეტყვი, თუ რა აქვს განზრახული.“
იონათანი დაელაპარაკა მამამისს და დავითს გამოესარჩლა: „ის ყოველთვის შენთვის იბრძოდა, ბუმბერაზი გოლიათი დაამარცხა, შენს საწინააღმდეგოდ არასოდეს არაფერი ჩაუდენია. რატომ გინდა, რომ უდანაშაულო მოკლა?“ საული შეჰპირდა თავის ძეს, რომ არაფერს დაუშავებდა დავითს. იონათანმა შეატყობინა ეს ამბავი დავითს და ისიც უკან დაბრუნდა.
თუმცა მეფემ დაივიწყა თავისი დანაპირები და კიდევ ერთხელ ესროლა შუბი დავითს. კიდევ ერთხელ დაუსხლტა დავითი შუბს. იგი იმავე ღამეს გაიქცა.
დავითი ისევ მობრუნდა, რათა მისი მეგობრისთვის,

იონათანისათვის, ეკითხა: „იონათან, რა დავაშავე? რატომ უნდა მამაშენს ჩემი მოკვლა?“ იონათანმა უპასუხა: „მამაჩემმა ხომ მითხრა, შენ არ მოკვდები.“ „ჰო“, უთხრა დავითმა, „მაგრამ მამაშენმა იცის, რომ ჩვენ მეგობრები ვართ, ამიტომაც არ გეუბნება არაფერს.“
იონათანს უნდა გაეგო, მართალი იყო თუ არა დავითი. ამის შემდეგ მოვიდოდა მსახურთან ერთად და სამ ისარს ისროდა. თუ ის მსახურს, რომელსაც ისრები უნდა შეეგროვებინა, ეტყოდა: „შენს ახლოს არის ისრები“, ეს იმას ნიშნავდა, რომ ყველაფერი წესრიგში იყო და დავითი მეფის კარზე დაბრუნებას შეძლებდა. მაგრამ თუ მსახურს ასე მიაძახებდა: შენს იქით არის ისრებიო, მაშინ დავითი საფრთხეში იქნებოდა და უნდა გაქცეულიყო.
კიდევ ერთხელ შეჰფიცა ორივე მეგობარმა ერთმანეთს ერთგულება. დავითი მინდორში დაიმალა.
ამასობაში სასახლეში დიდი ნადიმი გაიმართა. საულმა იკითხა, თუ რატომ არ იყო დავითი იქ. იონათანმა გაამართლა მისი მეგობრის არყოფნა. საული განრისხდა იმის გამო, რომ იონათანი დავითის მხარეს იყო და საკუთარ ძეს შუბი ესროლა. იონათანი მიხვდა, რომ დავითი მართალი იყო. ის უნდა გაქცეულიყო.
იმ ღამით იონათანს არაფერი უჭამია, ისე დაამწუხრა ამ ამბავმა. დავითის გასაფრთხილებლად მსახურთან ერთად მინდორში გავიდა. ისროლა სამი ისარი და მსახურს მიაძახა: „შენს იქით არის ისრები!“ იონათანმა მსახურს ისრები და მშვილდი მისცა და უკან გააგზავნა. თვითონ კი დავითის ნახვა სურდა ისევ.
ორივე ატირდა, ვინაიდან ერთმანეთს უნდა დაშორებოდნენ.

დავითი სამუელმა სცხო მეფედ. როგორც მეფე საულის ქნარზე დამკვრელი და საჭურველმტვირთელი დავითი სამეფო კარზე ცხოვრობდა და ცოლად მეფის ასული მიქალი შეირთო. საულის სიკვდილის შემდეგ იგი დაახ. 30 წელი მეფებოდა იუდეაზე, შვიდი წელი კი ისრაელის თორმეტივე ტომის მეფე იყო. მან დაიპყრო იერუსალიმი და ახალ დედაქალაქად აქცია იგი. დავითმა თავისი იმპერია მეზობელ ხალხებზე მოპოვებული გამარჯვებებით განამტკიცა და გააფართოვა. იგი ჩვ, წ. აღ-მდე დაახ. 1004-965 წლებში მეფობდა. დავითმა თავის მემკვიდრედ სოლომონი წამოაყენა და დაახ. 70 წლის ასაკში იერუსალიმში გარდაიცვალა.

მირელა ფირტუნატი

მაქსველთან სოვიეპეში (ტოგო)

იცით, სად მდებარეობს ლომე? ლომე ტოგოს, აფრიკის ერთი პატარა ქვეყნის, დედაქალაქია. ტოგოში ექვსი მილიონი კაცი ცხოვრობს, მათ შორის ერთ-ერთი მე ვარ, მაქსველი. სურათზე ჩემს მშობლებთან ერთად ვარ: მამაჩემი დომინიკე, დედაჩემი ედიტი და ჩემი და ჯენიფერი.

მე და ჯენიფერს გვიყვარს ერთად თამაში. დედა გუნდში მღერის, როცა ის რეპეტიციაზე მიდის, ჩვენც მივყვებით და ვცდილობთ, ვიმღეროთ ის საგალობლები, რომლებსაც გუნდი სწავლობს.

მყავს მეგობარი დავითი, რომელიც ჩვენს მოპირდაპირე მხარეს ცხოვრობს. დავითთან ერთად ღვთისმსახურობანას თამაში მიყვარს. ამ დროს ვცდილობთ, ისევე ვილოცოთ, როგორც მამაჩემი ლოცულობს. ის სამხ. უხუცესია.

ჩვენი თემი სოვიეპეში, ლომეს ერთ-ერთ ქალაქის უბანში, ყველაზე დიდი ახალსამოციქულო თემია ტოგოში. ჩვენთან ყოველთვის რაღაც ხდება: ჩვენ გვაქვს ლოცვის წრეები, ტარდება საკვირაო სკოლა, რელიგიის გაკვეთილები, საბავშვო ღვთისმსახურებანი და გვყავს გუნდი. მე იქ სხვა ბავშვებთან შეხვედრა მომწონს.

მართალია, მხოლოდ ოთხი წლის ვარ, მაგრამ უკვე სკოლაში დავდივარ. ხანდახან ჩემს კლასელებსაც ვეპატიჟები, რომ ჩემთან ერთად წამოვიდნენ ღვთისმსახურებაზე და ძალიან მიხარია, როცა მოდიან ისინი.

როცა ჩემი და ერთი წლის გახდა, დედაჩემი, ჩემი მეგობარი დავითი და ჩვენი ბიძაშვილი დელალი ზღვის სანაპიროზე წავედით. პირველად მაშინ ვნახე ზღვა!

მე და დავითი ძალიან გავერთეთ ქვიშაში და წყალში, მაგრამ ვფრთხილობდი, რადგან ცურვა არ ვიცი.

სანაპიროზე ყოფნის მერე ლომეს დამოუკიდებლობის მოედანი მოვინახულეთ, ის ტოგოს პარლამენტის მოპირდაპირე მხარეს მდებარეობს. 1960 წლის 27 აპრილს ტოგომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, რასაც მოედანზე აღმართული დიდი ძეგლი გვახსენებს.

ექსკურსია აშიებს, და ამ დროს ჩემი საყვარელი საჭმელი გრილზე შემწვარი ქათამი კიდევ უფრო გემრიელია. გარდა ამისა, სპაგეტიც მიყვარს.

მე კარგად უნდა ვჭამო, რადგან სპორტსმენებს დიდი ენერგია სჭირდებათ. მე და დავითი ნებისმიერ თავისუფალ დროს ფეხბურთს ვთამაშობთ. ეს ძალიან მოგვწონს, ჩვენ, მართლაც, კარგი თავდამსხმელები ვართ.

ფოტო: პირადი

ლოცვა და მსხვერპლი

2015 წელს გამოვიდა ახალსამოციქულო ეკლესიის კატეხიზმო კითხვებისა და პასუხების ფორმით. მთლიანობაში 750 კითხვისა და პასუხისაგან „კომიუნიტი“ ამონარიდის სახით რამოდენიმე კითხვასა და პასუხს წარმოგიდგენთ - ამ გამოცემაში საუბარი იქნება ახალსამოციქულო ქრისტიანსა და მის სარწმუნოებრივ ცხოვრებაზე: ლოცვასა და მსხვერპლშეწირვაზე, ასევე ქორწინებასა და ოჯახზე.

ფოტო: © charlieruna1 – Fotolia.com

როგორ გვესმის ლოცვა?
ლოცვა არის ღვთის მიერ ადამიანისათვის მიცემული შესაძლებლობა მასთან კავშირის დასამყარებლად. ლოცვისას მორწმუნე გრძნობს, რომ ღმერთი იქ არის, ღმერთს ესმის მისი და პასუხობს მას. ამდენად, მორწმუნე ადამიანი თავმდაბლად ქედს იხრის ღმერთის დიდებულებისა და სიყვარულის წინაშე, სწორი ლოცვისათვის იმპულსებს კი სულიწმიდა იძლევა.

აუცილებელია ლოცვა?
ლოცვას „სულის სუნთქვასაც“ უწოდებენ. ამ შედარებამ რწმენისათვის ლოცვის აუცილებლობას უნდა გაუსვას ხაზი. რწმენა ლოცვის გარეშე ცოცხალი რწმენა არ არის. ლოცვა რწმენის გარეშე სწორი ლოცვა არ არის.

რა მითითებები მოგვცა იესომ ლოცვასთან დაკავშირებით?
მთაზე ქადაგებაში იესომ ლოცვასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი მითითებები მოგვცა: ადამიანმა სხვების დასანახად არ უნდა ილოცოს და არც უხვსიტყვაობა არ არის საჭირო. ჩვენ გვაქვს უფლება, რომ ღმერთს „მამა“ ვუწოდოთ. ლოცვა გულიდან უნდა მოდიოდეს. მის მეორედ მოსვლასთან დაკავშირებით იესო შეგვაგონებდა: „მაშ, ყოველჟამს იფხიზლეთ და ილოცეთ, რათა შეგეძლოთ ყოვლეგვარ ამ მოსახდენთაგან თავის დაღწევა და წარდგომა კაცის ძის წინაშე“ (ლუკ. 21, 36).

რას მოგვითხრობს ბიბლია იესოს ლოცვით ცხოვრებასთან დაკავშირებით?
სახარებები მოწმობს, რომ იესო ხშირად განმარტოვდებოდა ხოლმე სალოცავად. ლუკას სახარება მოგვითხრობს, რომ იესო განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოვლენების წინ ლოცულობდა:

- მანამდე, ვიდრე სულიწმიდა გადმოვიდოდა მასზე (შევ. ლუკ. 3, 21. 22);
- მანამდე, ვიდრე თორმეტ მოციქულს აირჩევდა (შევ. ლუკ. 6, 12;
- მანამდე, ვიდრე მას მამა სააქაოსა და საიქიოს მოწმეების თვალწინ უცვლიდა ფერს (შევ. ლუკ. 9, 28-36);
- მანამდე, ვიდრე მისი ტანჯვა-წამება დაიწყებოდა;;
- მანამდე, ვიდრე ჯვარზე მოკვდებოდა (შვ. ლუკ. 23, 46).

თვალშისაცემია ის, რომ იესო წინასწარ იხდიდა მადლობას, ვიდრე მისი ლოცვა იქნებოდა შესმენილი (შევ. იოან. 11, 41. 42).

როგორ უნდა ვილოცოთ?
ლოცვა რაიმე გარეგნულ ფორმას არ უკავშირდება. თუმცა ლოცვის ინტენსივობა, მაგ., თვალების დახუჭვით, ხელების გადაჭდობითა და მუხლმოყრით შეიძლება გაძლიერდეს. ამდენად, მლოცველი ყოველდღიურ საქმიანობას ეთიშება, შინაგან პაუზს აკეთებს და თავმდაბლად იხრის ქედს ღმერთის წინაშე. ახალსამოციქულო ქრისტიანები დღეს ლოცვით იწყებენ და ამთავრებენ. ისინი ჭამის წინაც ლოცულობენ. დღის განმავლობაში რამოდენიმეჯერ მიმართვენ ღმერთს, რათა მისი სიახლოვე შეიგრძნონ და დახმარება მიიღონ

მისგან. ოჯახებში მშობლები შვილებთან ერთად ლოცულობენ და ამგვარად, ინდივიდუალურ ლოცვით ცხოვრებას აჩვევენ მათ.

როგორი შინაარსი აქვს ლოცვას?
ლოცვის შინაარსი თაყვანისცემით, მადლიერებით, თხოვნებითა და შუამდგომლობებით განისაზღვრება.

როგორ ხდება თყვანისცემა?
ღმერთის დიდებულების შემეცნება მისი თაყვანისცემისკენ გვიბიძგებს: „მოდით, თაყვანი ვცეთ და შეუვრდეთ, მუხლი მოვიყაროთ ჩვენი შემქმნელი უფლის წინაშე“ (ფსალ. 94, 6).

რას შეიცვას მადლიერება ლოცვაში?
მადლიერება ლოცვაში შეიცავს ყველაფერს, ღაც ღვთიური სიკეთიდან მოდის: სიტყვას, წყალობას და საიდუმლოებს, ასევე ამქვეყნიურ საბოძვარს, როგორიცაა საკვები, ტანსაცმელი, საცხოვრებელი.

რა თხოვნებით მივმართავთ ღმერთს?
ლოცვაში ღმერთს ყველა თხოვნას მოვახსენებთ. ეს ეხება რწმენის შენარჩუნებას, ანგელოზთა მიერ მფარველობას ანდა მის შემწეობას ყოფით ცხოვრებაში. ყველაზე მნიშვნელოვანი თხოვნა ქრისტეს მალე მეორედ მოსვლაზეა ორიენტირებული და იმის მოთხოვნილებაზე, რომ ამ დროს წყალობით მიგვიღონ.

რატომ ვშუამდგომლობთ?
შუამდგომლობა მოყვასის სიყვარულის გამოხატულებაა. ის არ შემოიფარგლება საკუთარი ოჯახითა და თემით; ის მოიცავს ყველას, ვისაც ღვთიური დახმარება სჭირდება, იქნება ეს ამქვეყნად თუ საიქიოში.

რა ზემოქმედებას ახდენს ლოცვა?
ლოცვა აძლიერებს რწმენას, ღვთისადმი ნდობას და ღმერთში მფარველობის შემეცნებას გვანიჭებს. ლოცვის შემდეგ მლოცველი დარწმუნებულია, რომ მისი ყველა თხოვნა ღვთის ხელთაა: „მიაქციე ღმერთზე შენი გზასავალი, მიენდე მას და ის აღსრულებს“ (ფსალ. 36, 5).

რა არის „მსხვერპლის გაღებისათვის მზადყოფნა“?
ზოგადად „მსხვერპლის გაღებისათვის მზადყოფნაში“ ადამიანის შინაგანი მზადყოფნა იგულისხმება იმისათვის, რომ მისი ძალები და ნიჭი სხვათა საკეთილდღეოდ გამოიყენოს და ამის გამო საკუთარი ინტერესები უკანა პლანზე გადასწიოს.

როგორ გვესმის ზოგადად „მსხვერპლი“?
როგორც წესი, ცნება „მსხვერპლი“ ძღვენს აღნიშნავს, რომელსაც ღმერთს მიართმევენ. „მსხვერპლში“ ასევე იმ ადამიანთა საქმეები შეიძლება იქნას გაგებული, რომლებიც სხვების სამსახურში დგებიან. რელიგიურ ლექსიკაში რელიგიური მიზნებით შწრირული ფულიც მსხვერპლად ითვლება.

როგორ გვესმის ჩვენი „მსხვერპლი“?
ჩვენს „მხვერპლში“ ვგულისხმობთ ჩვენი ნიჭისა და უნარის, დროისა და ძალის გამოყენებას ღვთისა და მისი საქმის სამსახურში. მსხვერპლია ისიც, როცა ღვთის საქმის სასარგებლოდ რაღაც-რაღაცეებზე უარს ვამბობთ. მორწმუნეს სურს, რომ თავისი მადლიერება და სიყვარული ღმერთის მიმართ კონკრეტულ გაცემაში (მსხვერპლში) გამოხატოს, იქნება ეს ფულადი საშუალება თუ ნატურალური პროდუქტები. მალ. 3, 10-ის მიხედვით ნებისმიერი შემოსავლის „მეათედი“ უფლის სახლში უნდა მიეტანათ. მსხვერპლის შეწირვის ორიენტირი ერთმორწმუნე და-ძმებისათვის „მეათედი“ შეიძლება იყოს. და ბოლოს, ყველაფერი მსხვერპლია, რასაც მორწმუნე ღვთისადმი სიყვარულით აკეთებს ან არ აკეთებს.

რა არის მსხვერპლის გაღებისათვის მზადყოფნის საფუძველი?
მსხვერპლი, ქრისტიანული აზრით, ნაძალადევი ვალდებულება არ უნდა იყოს, არც სამაგიერო საზღაურის მოლოდინი. მსხვერპლის გაღებისათვის მზადყოფნა უფრო ღვთის მიმართ რწმენიდან, მადლიერებიდან და სიყვარულიდან ვითარდება.

როგორ ვლინდება მსხვერპლის გაღებისათვის მზადყოფნა თემის ცხოვრებაში?
მსხვერპლის გაღებისათვის მზადყოფნა უშუალოდ თემის ცხოვრებაში ვლინდება: უამრავი ერთმორწმუნე და-ძმა თავისი თავისუფალი დროის, ძალისა და ნიჭის მნიშვნელოვან ნაწილს უანგაროდ ახმარს თემს. ეკლესიაში ბევრი თანამშრომლობს მუსიკისა და განათლების სფეროში. მცირე გამონაკლისის გარდა მღვდელმსახურებიც საპატიოდ მსახურებენ.

სატიტულო ფურცელი
გამომცემელი: ჟან-ლუკ შნაიდერი, იუბერლანდშტრასე 243, CH-8051 ციურიხი/ შვეიცარია
შპს ფრიდრიხ ბიშოფის გამომცემლობა, ფრანკფურტერშტრასე 233, 63263 ნოი-იზენბურგი/გერმანია
რედაქტორი: პეტერ იოჰანინგი

ქორწინება და ოჯახი

რა არის ქორწინება?
ქორწინება კაცისა და ქალის თანაცხოვრებაა, რომელსაც ღმერთი აკურთხებს. ის ფუნდამენტს ქმნის ოჯახისათვის, რომელსაც მეუღლეების მიერ საჯაროდ დადებული ერთგულების ფიცი უდევს საფუძვლად. იმისათვის, რომ ქორწინება ბედნიერი იყოს, ერთმანეთის მიმართ სიყვარული და ერთგულებაა აუცილებელი. მრავალცოლიანობა (პოლიგამია) არ მიესადაგება ქრისტიანულ მოძღვრებასა და ტრადიციას.

რისი გადმოღება შეიძლება შემოქმედების ისტორიიდან ქორწინებასთან მიმართებაში?
„და შექმნა ღმერთმა ადამიანი თავის ხატად - ღვთის ხატად შექმნა იგი. და შექმნა ისინი მამაკაცად და დედაკაცად. და აკურთხა ისინი ღმერთმა და უთხრა მათ ღმერთმა: 'ინაყოფიერეთ და გამრავლდით, და აღავსეთ ქვეყანა და დაეუფლეთ მას" (დაბ. 1, 27. 28). - ორივე, კაციც და ქალიც, ღვთის ხატად შეიქმნა. სხვადასხვაგვარად, მაგრამ თანაბრად არიან ისინი ღვთიური კურთხევის ქვეშ მოქცეულნი. ადამიანი თანაცხოვრებისთვის არის შექმნილი; ქალსა და კაცს ერთმანეთის სახით ჰყავთ ის, ვისაც მხარში უნდა ამოუდგნენ და დეხმარონ. „და თქვა უფალმა ღმერთმა: 'არაა კარგი ადამის მარტოობა! შევუქმნათ მას შესაფერისი შემწე" (დაბ. 2, 18). დაქორწინების შედეგად კაცი და ქალი ერთი მთლიანობა ხდება და ეს ერთობა მთელი ცხოვრება უნდა გაგრძელდეს. „და ამიტომ მიატოვებს კაცი თავის მამას და თავის დედას და მიეკრობა თავის დედაკაცს. და იქნებიან ისინი ერთ ხორცად" (დაბ.2, 24).

რა მნიშვნელობა აქვს საქორწინო კურთხევას?
საქორწინო კურთხევა მრავალნაირად შეიძლება გამოვლინდეს: ის ანმტკიცებს ძალებს ხანგრძლივი სიყვარულისა და ერთგულებისათვის, დახმარებისა და გაგებისათვის; ის ხელს უწყობს მსახურებისათვის მზადყოფნას; ხელს უწყობს იმას, რომ აპატიონ ერთმანეთს შეცდომები და შერიგდნენ. მაგრამ მიღებული კურთხევა მხოლოდ მაშინ იმოქმედებს, თუ ცოლ-ქმარი შესატყვისად მოიქცევა.

რა მნიშვნელობა აქვს ქრისტიანულ რწმენას ქორწინების სიმტკიცისათვის?
სასურველია, რომ მეუღლეები ერთმანეთს ეთანხმებოდნენ სარწმუნოებრივ საკითხებში. თუმცაღა ის საწყისი სიტუაცია, რომ ცოლ-ქმარი ორივე ქრისტიანია, სულაც არ არის ჰარმონიული ცოლ-ქმრული ცხოვრების გარანტია. განსაკუთრებით მაშინ, როცა ერთ-ერთი მეუღლე სხვა კულტურულ წრეს, სხვა რელიგიას ან კონფესიას ეკუთვნის, აუცილებელია, რომ ქორწინების წინ მათ ერთობლივ ცხოვრებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი გაარკვიონ.

რა მნიშვნელობა აქვს სექსუალობას ქორწინებაში?
თუ პირველ ადგილზე ურთიერთგაგება და ურთიერთსიყვარული დგას, შეიძლება სექსუალობა ცოლ-ქმრული ურთიერთობის დამაკავშირებელი განმამტკიცებელი რგოლი აღმოჩნდეს და ცოლ-ქმრის კარგად ყოფნას შეუწყოს ხელი. სექსუალობა ცოლ-ქმრულ ცხოვრებაში პატივისცემითა და გულისხმიერებით უნდა აღნიშნებოდეს.

როგორ უყურებს ახალსამოციქულო ეკლესია ოჯახის დაგეგმვას?
ოჯახის დაგეგმვა ცოლ-ქმრის საქმეა. თუმცა ეკლესია უარყოფს ჩასახვის საწინააღმდეგო მეთოდებსა და საშუალებებს, რომელთა არსებითი ზემოქმედებაც იმაში მდგომარეობს, რომ უკვე განაყოფიერებული კვერცხუჯრედი მოიკლას. ხელოვნურ განაყოფიერებას ეკლესია ძირითადად უშვებს; მაგრამ უარყოფს ყველა ღონისძიებას, რომელიც ადამიანის არჩევანის გამო სიცოცხლეს ანადგურებს.

როგორი პოზიცია უკავია ახალსამოციქულო ეკლესიას პროფესიულ საქმიანობასა და საზოგადოებასთან მიმართებაში?
პროფესიულ საქმიანობასა და საზოგადოებაში ვალდებულებების შესრულების ორიენტირს ათი მცნება იძლევა. ქრისტიანის ამოცანაა, რომ თავისი წვლილი შეიტანოს საზოგადოების კეთილდღეობის განვითარებაში. ამაზე ყველა აგებს პასუხს.

როგორ უყურებს ახალსამოციქულო ეკლესია პასუხისმგებლობას საზოგადოებაში?
მისი შესაძლებლობებისა და ამოცანების ფარგლებში ახალსამოციქულო ეკლესია ადამიანთა საყოველთაო კეთილდღეობას უწყობს ხელს. ახალსამოციქულო ეკლესია მთელ მსოფლიოში მშვიდობის დასამყარებლად გამოდის, მოუწოდებს

შერიგებისა და მიტევებისკენ. იგი უარყოფს ძალადობის ნებისმიერ ფორმას.

მონაწილეობენ ახალსამოციქულო ქრისტიანები საზოგადოებრივ ცხოვრებაში?
დიახ, ახალსამოციქულო ქრისტიანები მონაწილეობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეკლესია არანაირ ზეგავლენას არ ახდენს თავისი წევრების პოლიტიკურ შეხედულებებსა და საქმიანობაზე. ახალსამოციქულო ეკლესია თავის წევრებს მოუწოდებს, რომ ყველა ადამიანს პატივისცემითა და შემწყნარებლობით მოეკიდონ მათი სოციალური წარმოშობის, ასაკის, ენისა და სხვა განსხვავებების მიუხედავად.

რა პოზიცია უკავია ახალსამოციქულო ეკლესიას სახელმწიფოს მიმართ?
ახალსამოციქულო ეკლესია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მთავრობებთან და სახელმწიფო ორგანოებთან ღია და კონსტრუქციულ ურთიერთობას. პოლიტიკურად ის ნეიტრალურია. თავის ქმედებებში იგი მოცემული ქვეყნის კანონმდებლობაზეა ორიენტირებული, ითვალისწინებს რა რომ. 13, 1-ში ნათქვამ ამ სიტყვებს: „ყოველი სული დაემორჩილოს უმაღლეს ხელმწიფეებას. ვინაიდან არ არსებობს ხელმწიფება, თუ არა ღვთისგან, ხოლო არსებულნი ღვთის მიერ არიან დადგენილნი“.ესკიიმისწინაპირობასქმნის, რომ სახელმწიფო ხელისუფლებისთვისაც საზომი ღვთიური მცნებები იყოს. ეკლესია ასრულებს მოცემულ ქვეყანაში არსებულ ვალდებულებებს, რომლებიც მისი კანონებიდან და წესებიდან გამოდინარეობს. მას იმის მოლოდინიც აქვს, რომ მისი სტატუსის შესაფერისად მასაც პატივისცემით მოექცევიან და აღიარებენ.

რა დამოკიდებულება აქვს ახალსამოციქულო ეკლესიას სხვა ეკლესიებთან, რელიგიურ გაერთიანებებთან და რელიგიებთან?
ახალსამოციქულო ეკლესია და მისი წევრები პატივს სცემენ სხვა ადამიანთა რელიგიურ ცხოვრებას და არ ამჟღავნებენ უარყოფით დამოკიდებულებას სხვა აღმსარებლობის მიმდევრების, სხვა რელიგიებისა და რელიგიური გაერთიანებების მიმართ. მათი მიზანი კარგი, მშვიდობიანი ურთიერთობაა, დამყარებული ურთიერთპატივისცემაზე. ეკლესია უარყოფს რელიგიური ფანატიზმის ნებისმიერ გამოვლინებას. სხვა ქრისტიანულ ეკლესიებთან დიალოგში - მიუხედავად მოძღვრებაში არსებული განსხვავებული პოზიციებისა - ხაზი ესმება ქრისტიანული რწმენის საერთო ნიშნებს.

რა სოციალურ პასუხისმგებლობას ატარებს ახალსამოციქულო ეკლესია?
ახალსამოციქულო ეკლესია სახარების წინაშეა პასუხისმგებელი. ის თავის ამოცანას, სხვათა შორის, „მოყვასის პრაქტიკულ სიყვარულშიც“ ხედავს, რომელიც ადამიანის სასიკეთოდ მოქმედებს მისი პიროვნული თვისებების მიუხედავად. სოციალურ პასუხისმგებლობას ატარებენ თემში უსასყიდლოდ მომუშავე დამხმარეები, ეს პასუხისმგებლობა ხორციელდება ასევე მატერიალური დახმარების მეშვეობითაც. ეკლესია თავისი შესაძლებლობების ფარგლებში გეგმავს და ხელს უწყობს საზოგადოებროვად სასარგებლო და საქველმოქმედო პროექტებს, დაწესებულებებს და სადამხმარებლო აქციებს მთელ მსოფლიოში, მათ შორის ჰუმანიტარულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფორმითაც.

ფოტო: © სტოდია რომანტიკა – Fotolia.com

პროგრამა

01.01.2017	ბერნი/შვეიცარია
08.01.2017	ბერლინი/გერმანია
15.01.2017	ტოგო ლომე/ტოგო
20.01.2017	სარხი/ჩადი
21.01.2017	კოუმრა/ჩადი
22.01.2017	ნჯამენა/ჩადი
12.02.2017	კულმბახი/გერმანია
17.02.2017	გვიანა-ბისაუ/გვიანა-ბისაუ
18.02.2017	გვიანა-ბისაუ/გვიანა-ბისაუ
19.02.2017	სედიუ/სენეგალი
24.02.2017	მპუმალანგა/სამხ. აფრიკა
26.02.2017	დურბანი/სამხ. აფრიკა
05.03.2017	ნოიმიუნსტერი/გერმანია
12.03.2017	სასკატუნი/კანადა
14.03.2017	კვებეკი/კანადა
19.03.2017	ვუპერტალი/გერმანია
26.03.2017	ევრიო/საფარანგეთი

New Apostolic Church
International